საინფორმაციო ბიულეტენი

აპრილი-მაისი-ივნისი

Georgian Farmers' Association

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

2019

პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება

5 აპრილს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების გამოწვევებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრა პროექტ "კომპეტენციები დასაქმებისთვის" ევროკავშირის ,,EU4YOUTH“ პროგრამის ფარგლებში გაიმართა და მისი მიზანი სამუშაო ჯგუფის შექმნა იყო.
სამუშაო შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, კერძო სექტორის, დონორი ორგანიზაციებისა და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.
პროექტი "კომპეტენციები დასაქმებისთვის" გასული წლის 15 თებერვალს დაიწყო და 2021 წელს დასრულდება. ის 4 რეგიონს მოიცავს, ესენია: იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო და მცხეთა-მთიანეთი. პროექტის ფარგლებში გადამზადების მსურველებს პროფესიულ სასწავლებლებში შემოდგომიდან მიიღებენ. პროექტის ჯამური ბიუჯეტი 1,5 მლნ ევროა, საიდანაც 1,4 მლნ ევროს ევროკავშირი აფინანსებს.
აღნიშნულ პროექტს „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია" world vision-თან ერთად ახორციელებს და სხვა ბენეფიციარებთან ერთად, შშმ პირების, კონფლიქტში მყოფი ადამიანების და სოციალურად დაუცველი პირების პროფესიულ სწავლებას უწყობს ხელს.

ყვავილები მსჯავრდებულებისგან

8 მაისს, რუსთავის N16-ე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მედიატური გაიმართა. ჟურნალისტები პროექტის „ტრენინგებისა და დასაქმების ხელშეწყობის ინიცირება მართლმსაჯულების სექტორში“ ბენეფიციარებს შეხვდნენ, რომლებიც დასაქმებული არიან პროექტის ფარგლებში მოწყობილ ყვავილების სათბურში.
პროექტის მიზანი იყო პატიმრებისთვის, ყოფილი პატიმრებისთვის, პირობითი მსჯავრის მქონე და განრიდებული პირებისთვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები - სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობის გზით.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, პროექტის ფარგლებში, კოორდინირებას უწევდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამას სოფლის მეურნეობის მიმართულებით. პენიტენციურ დეპარტამენტთან შეთანხმებით შერჩეულ სამ მიზნობრივ დაწესებულებაში (N5, N16, N15) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: აშენდა და გაიმართა სამი სათბური; ჩატარდა კენკროვანი კულტურებისა და ყვავილების წარმოების თეორიული და პრაქტიკული კურსი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით; მოეწყო სასათბურე კონსტრუქციები და ადგილები სანერგე ჩითილებისთვის; დაიწყო ყვავილებისა და მარწყვის წარმოება.
პროექტი საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ არასამთავრობო ორგანიზაცია "სიდა"-თან პარტნიორობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

მსჯავრდებულების მიერ მოყვანილი ყვავილების გამოფენა-გაყიდვა

26 მაისს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, პირველად გაიმართა მსჯავრდებულების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში მოყვანილი ყვავილების გამოფენა-გაყიდვა.

მსჯავრდებული ქალების მიერ მოყვანილი ყვავილები კერძო სექტორისთვის

კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანიებმა „აჭარა ჯგუფი“ და „არტბიურო“ მსჯავრდებულების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში მოყვანილი ყვავილები შეიძინეს.
მსჯავრდებული ქალების მიერ მოყვანილი ყვავილებით აჭარა ჯგუფმა სასტუმრო „სტამბა“ გააფორმა, ხოლო არტბიურომ განახლებული ორბელიანის მოედანი.

ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSOs) გაძლიერება

18-19 აპრილს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“ ფარგლებში ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრას საერთაშორისო კერძო კომპანიების ცენტრის უფროსი კონსულტანტი კარმენ სტანილა უძღვებოდა, ხოლო ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად, ორმოცამდე ასოციაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ორგანიზაციის მდგრადობის, პრობლემების, სერვისების, წევრობის, ასოციაციების მართვისა და ფინანსების მოძიების საკითხები.

შეხვედრა პრაქტიკულ ქეისებზე იყო დაფუძნებული და ღონისძიების მონაწილე ასოციაციის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაეზიარებინათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება, როგორც ორგანიზაციის მართვის საკითხებში, ასევე მეწარმეებთან ურთიერთობაში. სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილეს სერთიფიკატი გადაეცა.
პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის მიერ - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ასოციაცია „ათინათი“ (ATINATI), საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) ხელმძღვანელობით.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

22 აპრილს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მეწარმე ქალებთან შეხვედრა გაიმართა.
პროექტის "ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები 60 მეწარმე ქალი ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს გაივლის.
აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, მათ შორის, სოფლად მცხოვრები და სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი ქალების მხარდაჭერას. კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარი, ბიზნესის გაფართოების მიზნით, ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს.

პროექტს საქართველოს ფერმერთა ასოციაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით ახორციელებს და მას ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს.

ქალი მეწარმეების შეხვედრა ბათუმში

13 მაისს, ბათუმში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ მეწარმე ქალებისთვის (პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ფარგლებში) დაიწყო ტრენინგების სერია “როგორ ვმართოთ და განვავითაროთ ბიზნესი”.
ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს დამატებით, 65 მეწარმე ქალი გაივლის. პროექტის ახალი მონაწილეებისთვის პირველი შეხვედრა, ბათუმში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში შედგა. პროექტი სამწლიანია და კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარები, ბიზნესის გაფართოების მიზნით, ფინანსურ მხარდაჭერასაც მიიღებენ.
პროექტი „ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაფინანსებული და მას გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს.

მასტერკლასი ქალი მეწარმეებისთვის

22 მაისს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, “ქალთა ეკონომიკური გაძლიერების” პროექტის მონაწილე მეწარმე ქალები თამარ ინგოროყვას მასტერკლას დაესწრნენ.

მასტერკლასის ფარგლებში, მეწარმე ქალებს მოდის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი გამოცდილება გაუზიარეს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ამ სფეროში საქმე მაქსიმალურად ღირებული და მომგებიანი იყოს. მეწარმე ქალებმა სამოსის შექმნისას მნიშვნელოვანი პრაქტიკული რჩევებიც მიიღეს.
პროექტი „ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაფინანსებული და მას გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს.

ტრენინგი გენდერულ თანასწორობაზე

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 30-ზე მეტმა თანამშრომელმა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი გაიარა.

ტრენინგი სხვადასხვა თემებს დაეთმო, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობასა და დისკრიმინაციას, ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და დახმარების სერვისებს, ასევე ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, შრომის გენდერულ განაწილებასა და არაანაზღაურებად შრომას.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ფერმერთა ასოციაცია სექსუალური შევიწროების გასაჩივრების მექანიზმის დანერგვაზე მუშაობს. ტრენინგის მიმდინარეობისას ამ მექანიზმის საბოლოო ვერსიაც დამტკიცდა.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან 2016 წლიდან თანამშრომლობს. ამჟამად, ასოციაცია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ერთი-ერთი კომპონენტის, ქალთა მეწარმეობის წახალისების განმახორციელებელია.

ქალი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა მდგრადი განვითარების ფესტივალზე

7 ივლისს ამბროლაური მდგრადი განვითარების 2019 წლის ფესტივალს მასპინძლობდა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ადგილობრივ ფერმერთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, სადაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ინიცირებული პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ბენეფიციარებიც მონაწილეობდნენ.

მეწარმე ქალებმა, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან (სასტუმრო ბიზნესს, მეღვინეობას, ფერმერობას და სხვ.) პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და ფინანსური მხარდაჭერით საკუთარი წარმოება გაზარდეს და უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლე დაასაქმეს.

აღნიშნულ პროექტს გაეროს ქალთა ორგანიზაცია ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებს.

პროექტი საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერას 2020 წლამდე განაგრძობს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ფორუმი

15 ივნისს, ბათუმში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ფორუმის ბიზნესკავშირების პანელურ ნაწილში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ მობილური აპლიკაციების - „აგრონავტი“ და „სოფლიდან ჯი“ - შესაძლებლობები და სამომავლო გეგმები წარმოადგინა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ფორუმი გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ბიზნესლიდერთა ფედერაციის „ქალები მომავლისთვის“ ორგანიზებით გაიმართა. ფორუმის მიზანი ქალთა გაძლიერების პროცესში ბიზნესკომპანიების როლისა და წარმატებული ქალების ისტორიების წარმოჩენა იყო.

ბათუმი მეწარმე ქალების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას მასპინძლობდა

16 ივნისს ბათუმი მეწარმე ქალების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას მასპინძლობდა, რომელშიც მონაწილეობა პროექტის “ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ბენეფიციარებმა მიიღეს.

გამოფენა-გაყიდვა ორდღიანი ფორუმის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ბიზნესლიდერთა ფედერაციის „ქალები მომავლისთვის“ (Women for Tomorrow) მიერ იყო ორგანიზებული.

შეხვედრა კახეთის ადგილობრივ მეწარმეებთან

4 მაისს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს ქალაქ წნორში პოპულარული დაწესებულება „ცოდნის კაფე“ მასპინძლობდა. შეხვედრის მთავარი თემა სოციალური-კორპორატიული პასუხისმგებლობისა და მარცხის ისტორიების გაზიარება იყო, რომელსაც ადგილობრივები და მეწარმეები ესწრებოდნენ.

4 მაისს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს ქალაქ წნორში პოპულარული დაწესებულება „ცოდნის კაფე“ მასპინძლობდა. შეხვედრის მთავარი თემა სოციალური-კორპორატიული პასუხისმგებლობისა და მარცხის ისტორიების გაზიარება იყო, რომელსაც ადგილობრივები და მეწარმეები ესწრებოდნენ.

ტრენინგების სერია გეოგაპის სერტიფიცირების პროცესებზე

2019 წელს, ჰოლანდიის სამთავრობო ფონდის „Nuffic“-ის დაფინანსებით, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და Q-Point ერთობლივად ახორციელებენ კიდევ ერთ პროექტს - „პირველადი წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის, ხარისხისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების მართვა გეოგაპის გასავითარებლად“.

პროექტის მთავარი მიზანი გეოგაპზე მომუშავე გუნდის, დაინტერესებული მხარეებისა და ფერმერების დატრენინგებაა, რაც კიდევ უფრო ოპტიმალურს გახდის სერტიფიცირების პროცესებს და გაზრდის ფერმერთა შორის თანამშრომლობის ეფექტურობას.
აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში ჩატარდა ტრენინგების სერია, რომელსაც ქართველი და ჰოლანდიელი ექსპერტები
და ალმა რუტინგი ეკატერინე ბურკაძე უძღვებოდნენ.

გეოგაპის ტურნე

14-16 მაისს, ამბროლაურში, ზუგდიდსა და ბათუმში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, ხილ-ბოსტნეულის პირველადი წარმოების სტანდარტის, გეოგაპისა და მობილური აპლიკაცია „აგრონავტის“ შესახებ შეხვედრები გაიმართა.
გეოგაპის მიზანია, უვნებელი და მიკვლევადი ხილ-ბოსტნეულის მწარმოებელი ფერმერების სერტიფიცირება, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის მიღებასა და რეალიზაციას Geo GAP სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად (ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით).

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიზანია, მწარმოებლის სერტიფიცირების გზით, უზრუნველყოს ქვეყანაში პირველადი წარმოების პროდუქციის ხარისხის გაზრდა და შენარჩუნება, ასევე, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის აგროსაინვესტიციო ბიზნესფორუმი

11 მაისს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე სამეგრელო-ზემო სვანეთის აგროსაინვესტიციო ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოვიდა და ადგილობრივ ფერმერებსა და ღონისძიების მონაწილეებს ასოციაციის საქმიანობა, მიმდინარე და განხორციელებული პროექტები გააცნო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აგროსაინვესტიციო ბიზნესფორუმი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ზუგდიდში, დადიანების სასახლის ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტებმა მეთხილეობის, მეკენკრეობის, მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს. ფორუმის მონაწილეებმა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები განიხილეს და რეგიონში აგროსექტორის სხვადასხვა მიმართულების განვითარების საკითხებზე იმსჯელეს.

ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ გახსნეს.

კრისტინ ლაგარდი მეწარმე ქალებს შეხვდა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორი კრისტინ ლაგარდი ქართველ მეწარმე ქალებს შეხვდა, მათ შორის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს - ნინო ზამბახიძეს. ქალმა მეწარმეებმა კრისტიან ლაგარდთან შეხვედრაზე განიხილეს ის პრობლემები, რაც ხელს უშლის მათ უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები ეკონომიკაში.
შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და განათლება დასახელდა. მეწარმეებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ შემუშავდეს ერთიანი სტრატეგია, სადაც გაიწერება თუ როგორ უნდა გახდნენ ქალი მეწარმეები უფრო მეტად ჩართულები ეკონომიკაში. კრისტიან ლაგარდმა გამოთქვა მზადყოფნა ქალი მეწარმეების დასახმარებლად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ახალგაზრდა ფერმერებს შეხვდა

23 მაისს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ასოციაციის ახალგაზრდა ფერმერებს შეხვდა. შეხვედრას, პრემიერ-მინისტრთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულ-ტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი ესწრებოდნენ.
შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებსა და განათლებაზე ისაუბრეს. ფერმერების მხრიდან დაისვა კითხვები იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც დღეს სოფლის მეურნეობაშია.

სოფლის მეურნეობის სფეროში ახალგაზრდების ჩართვა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის დამკვიდრება და არსებული ფერმერების კვალიფიკაციის ამაღლება აგრარული სექტორის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ახალი ცოდნით და პროფესიული უნარებით ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერება კი რეგიონის გაძლიერებისა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, აგრარული სფეროთი დაინტერესებულ მხარეებს, ადგილობრივ ფერმერებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს პროფესიულ განათლებას, გადამზადების შესაძლებლობებსა და აგრარულ საგანმანათლებლო რესურსებს სთავაზობს. შეთავაზებებში ასევე გათვალისწინებულია სახელმძღვანელოები, აგრობიბლიოთეკა, მობილური აპლიკაცია „აგრონავტი“ და კემბრიჯის დისტანციური პროგრამები.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ შემუშავებული წიგნის „მეცხოველეობა-მეფრინველეობა - წარმოების ტექნოლოგია“ პრეზენტაციაც გაიმართა. წიგნის შემუშავება და დაბეჭდვა განხორციელდა ფონდ "კონსტანტას“ და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს მეცხოველეობის განვითარებისთვის ახალი პროექტი დაიწყო

საქართველოს მეცხოველეობის განვითარების ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატები 10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. პროექტს, რომლის პრეზენტაციაც 28 მაისს შედგა, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, Land O'Lakes International Development-თან და მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით განახორციელებს.

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა პროგრამაში ჩართული 54 000-ზე მეტი ბენეფიციარისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტი ითვალისწინებს Land O'Lakes International Development-ის ტექნიკურ დახმარებას, ორგანიზაციის ინოვაციური და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მიდგომების გამოყენებასა და დანერგვას. ეს ღონისძიებები აუცილებელია იმისათვის, რომ გაიზარდოს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტები მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის ღირებულებათა ჯაჭვებში - „ფერმიდან სუფრამდე“ პრინციპით. ზიანის შემცირებისა და პროდუქტიულობის გაზრდის შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ფერმერებს მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის პროდუქტების დამატებით ბაზრებზე გატანაში.

ეს წალკაა

6 ივნისს, ევროკავშირის პროექტის „ეს წალკაა“ ფარგლებში, საზოგადოებრივ ცენტრში შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით მუშაობს.
პროექტის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლე-ბლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით.
ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მისი მთლიანი ბიუჯეტი 179,5 მილიონ ევროს შეადგენს.

ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნას არამარტო აღნიშნულ სექტორში. მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ENPARD-ის ვებ–გვერდს: www.enpard.ge.

ბიას ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმი

20 ივნისს, თბილისში, ბიას ორგანიზებით, ყოველწლიური საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი "განვითარებადი ბაზრების ეკონომიკა - პერსპექტივები და გამოწვევები" გაიმართა. ფორუმს რეგიონის წინაშე არსებული შესაძლებლობებითა და გამოწვევებით დაინტერესებული დელეგატები 15-ზე მეტი ქვეყნიდან ესწრებოდნენ.
ფორუმის სპიკერებს შორის იყო საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თამარ თორია, რომელმაც სოფლის მეურნეობაში არსებულ გამოწვევებზე, განათლებასა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე ისაუბრა.

საქართველოს ფერმერთა კონგრესი

21 ივნისს საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ საქართველოს ფერმერთა კონგრესში მიიღო მონაწილეობა, რომელიც პროექტ "ევროკავშირი საქართველოსთვის" მიერ იყო ორგანიზებული.
საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ნონიაშვილმა, ასოციაციის მხრიდან, მცირე ფერმერებისთვის ადგილობრივი საბაზრო კავშირების გაძლიერებაზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ისაუბრა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა მობილურ აპლიკაცია "აგრონავტზე", ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიასა და სოფლიდან.ჯი-ზე, რომელიც ხელს უწყობს ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში.